

ქართული სასკოლო ლიტერატურის დისკურსული ასპექტები

თათია რაზმაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე*

*შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან ცაგარელი, სრული პროფესორი, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თათია რაზმაძე

აბსტრაქტი

სკოლა, ეს ერთ-ერთი იმ დაწესებულებათაგანია, სადაც მოზარდი დიდ დროს ატარებს და ყალიბდება პიროვნებად. მათი ღირებულებების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ის ლიტერატურული ნაწარმოებები, რომლებსაც ისინი მშობლიური ლიტერატურის პროგრამის ფარგლებში შეისწავლიან. სწორედ ამიტომ, ჩვენს საკვლევ საგნად შევარჩიეთ ქართული ლიტერატურის საპროგრამო მასალით გათვალისწინებული ნაწარმოებების დისკურსულ ასპექტთა განსაზღვრა, სახელდობრ, წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს, ჩვენ მიერ შერჩეული საკვლევ ტექსტების გაანალიზების საფუძველზე, კურიკულუმით გათვალისწინებულ ნაწარმოებებში გამოვავლინოთ დომინანტი და მარგინალი თემები, მოტივები და ღირებულებათა იერარქიული ურთიერთმიმართებები. ამ ასპექტების წარმოჩენა დაგვეხმარება განვსაზღვროთ კრიტერიუმები, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა იქნას შერჩეული მოსწავლეთათვის ოპტიმალური საპროგრამო მასალა.

ტექსტების თვისებრივი კვლევა განხორციელდა მიშელ ფუკოს დისკურსის ანალიზისა და ასევე მეტი ვალიდურობისთვის - შედარების მეთოდების დახმარებით. ერთმენთს შევადარეთ ქართულ და დასავლურ, კერძოდ ამერიკის შეერთებული შტატების საპროგრამო(9-12 კლასი) ოთხ-ოთხ ლიტერატურულ ნაწარმოებები, რომელთა შექმნის თარიღი მერყეობს მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან - დღემდე.

ჩვენ მიერ განხორციელებული, ეგზემპლარული ხასიათის, კვლევის ფარგლებში საკვლევ ტექსტების გაანალიზებისა და შედარების საფუძველზე გამოიკვეთა ნაწარმოებების თემატური და სტრუქტურული ერთფეროვნება. კვლევაში წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველზე შესაზღებელია განხორციელდეს

სასკოლო პროგრამაზე ფართომასშტაბიანი დაკვირვება და დაიგეგმოს გარკვეული ცვლილებები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სასკოლო ლიტერატურა, დისკურსის ანალიზი.

Abstract

School is one of those institutions where adults spend a lot of time and are forming as persons. The literary works they study at literature lessons are playing important role in them to shape their value system. That's why we chose as our research subject determining discourse aspects in Georgian literature curriculum. In particular, the aim of our research is to analyze the texts of the study, we've chosen from Georgian literature curriculum and in this way find out which themes, motivations, values hierarchy relationships are dominant and which ones are marginalized within them. Showing these aspects would help us to determine base criteria for selecting optimal program materials for pupils.

In our qualitative research we used methodology of Discourse Analysis by Michel Foucault and for additional validity we also used comparative method. We compare four Georgian curriculum literary works with four western- American curriculum literary works (grade 9-12), which are created from the second half of the eighteenth century up today.

In our exemplary research by the analyzing and comparing the texts of the study we detected structural and thematic similarities. The recommendations we have written

down can be useful as base of wide observation on curriculum literature and planning some kind of changes in them.

.

Key Words: school literature, discourse analysis.